N 102 06/04/2020

ოქმიN3-3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის, აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიების ერთობლივი სხდომის

2020 წელი, 30 მარტი

ქ. ოზურგეთი

13.30 -114.30 საათი

თავმჯდომარეობდნენ: ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები.

ესწრებოდნენ: კომისიათა წევრები - ვლ.ჩავლეშვილი, დ.მდინარაძე, ლ.ნინიძე, ლ.მგელაძე, ე.გორდელაძე, ვლ.ღლონტი, დ.ჭაკნელიძე, გ.ჩავლეშვილი, თ.ტუღუში, ლ.კილაძე, ბ.ქათამაძე, ლ.საჯაია, ბ.დოლიძე,გ.მდინარაძე,ჯ.თავართქილაძე, ვ.ნიჟარაძე, ბ.თოიძე ალ.ღლონტი.

სხდომის თავმჯდომარემ, ლ.ბიგვავამ, კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: გ.კილაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: გ.კილაძე

3.„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი:ლ.ბიგვავა

თანამომხსენებელი:პ.ჭყონია

4.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნისათვის „გომისმთის“ სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელი:ლ.ბიგვავა

5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ტერიტორიაზე - დასახლების (დაბა) გომისმთის შექმნის თაობაზე“ - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის შუამდგომლობის წარდგენის შესახებ .

მომხსენებელი:ლ.ბიგვავა

მომხსენებელმა გ.კილაძემ კომისათა წევრებს გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტი „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“, ორი პროექტი, რომელიც ეხებოდა ა) ქ.თბილისის მერიის მიერ გადმოცემული 5 ავტობუსის შ.პ.ს „მუნიციპალურ ტრანსპორტზე“ და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გადმოცემული მექანიკური დამტვირთავის კატერპილარი 938G-ს და კამაზი კადეემ 313-ს ა(ა).ი.პ „მუნიციპალური მომსახურების ცენტრზე“ გადაცემას, კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ განკარგულებების პროექტების საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ მოკლედ ისაუბრა მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტზე, შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ აღნიშნა, რომ საკრებულოს მიერ წარდგენილი ინფრასტრუქტურული წინადადების ერთი ნაწილი მერიის მიერ ვერ იქნა გათვალისწინებული ნაშთების განაწილებისას, მიუხედავად ამისა კომისიის წევრებს შესთავაზა წინადადება მხარი დაეჭირათ პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენისათვის, კომისიის წევრებმა გაიზიარეს ეს წინადადება.

კომისიის წევრმა ბ.ქათამაძემ დასვა შეკითხვა-რა მიზეზით გაუზარდეს დაფინანსება სპორტულ ცენტრს? და რატომ არ იხსნება ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩაბარებულ შენობებში საექიმო ამბულატორიები? განუმარტეს, რომ სპორტულ ცენტრს დაფინანსება გაეზარდა ინვენტარის შესაძენად და ხელფასების გასაცემად, რაც შეეხება ამბულატორიების საკითხს კომისია შეისწავლის მას. კომისიის წევრმა დ.მდინარაძემ იკითხა მოხდებოდა თუ არა სტიქიის სალიკვიდაციოდ ჩამორიცხული თანხიდან საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია რაზეც მიიღო უარყოფითი პასუხი. კომისიის წევრმა ლ.საჯაიამ კმაყოფილება გამოთქვა დუმბაძის ქუჩის პირველი შესახვევის რეაბილიტაციის გამო.

სხდომის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ კომისიის წევრებს გააცნო 2-ონლაინ შემოსული შეკითხვა-ნატანების ადმინისტრაციული ერთეულიდან, რომელიც ეხებოდა საკუპრიას უბანში გზის რეაბილიტაციას და სასმელი წყლით მომარაგებას, განმარტეს, რომ სასმელი წყლის მშენებლობა დაიწყება მიმდინარე წელს.

კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ასევე N4 და 5 საკითხებით გათვალისწინებული განკარგულების პროექტების საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს :

დამტკიცდეს კომისიების მიერ მომზადებული დასკვნები (თან ერთვის) და ერთობლივი სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტები შეტანილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს გასვლით სხდომაზე განსახილველად.

ლავრენტი ბიგვავა

კომისიის თავმჯდომარე
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

გოჩა კილაძე

კომისიის თავმჯდომარე
აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია